



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030141684480119

№ 01-189/ლ

03 / ივნისი / 2019 წ.

„ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული
რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის
სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. დამტკიცდეს:

- ა) „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - (დანართი №1);
- ბ) „ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №2);
- გ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №3);
- დ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და მკურნალობისას განვითარებული არასასურველი მოვლენების მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №4);
- ე) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №5);
- ვ) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და მეორე რიგის მედიკამენტებით გამოწვეული არასასურველი მოვლენების მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №6);
- ზ) „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის გამოვლენა და მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №7);
- თ) „ტუბერკულოზის და აივ კო-ინფექციის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №8);
- ი) „ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №9);
- კ) „ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მოვლა და მხარდაჭერა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №10);
- ლ) „სერიოზული არასასურველი მოვლენის და/ან გვერდითი მოქმედების გამოვლინების შესახებ (SAE) შეტყობინების ფორმა“ - შევსების გაიდლაინი - (დანართი №11).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 4 ივლისის №01-155/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

დავით სერგვენკო